

0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები EARTH SCIENCES**გეოგრაფია, როგორც მედიის ანალიზის ინსტრუმენტი**

მაია ბლიაძე

ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

E-mail: bliadze.maia@eu.edu.ge; maiabliadze13@gmail.com

რეზიუმე

თანამედროვე საინფორმაციო სივრცეში ყალბი (ცრუ) ამბების გავრცელება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებებსა და გლობალურ უსაფრთხოებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევებს, როდესაც დეზინფორმაცია უკავშირდება გეოგრაფიულ ობიექტებს, საზღვრებს, კლიმატურ მოვლენებსა და მიგრაციულ პროცესებს. აღნიშნულ სტატიაში განიხილება გეოგრაფიის, და განსაკუთრებით კარტოგრაფიისა და GIS ტექნოლოგიების, როლი მედიის კრიტიკული ანალიზისა და ყალბი ამბების გამოვლენის პროცესში. წარმოდგენილია რეალური მაგალითები პოლიტიკურად ან ემოციურად მიკერძოებული რუკების გამოყენების შესახებ, ასევე აღწერილია, როგორ შეუძლია გეოგრაფიულ განათლებას და სივრცით აზროვნებას ხელი შეუწყოს მედიაწიგნიერების გაძლიერებას. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია მედიის კრიტიკული კარტოგრაფიის, სივრცითი კონტრასტების ანალიზისა და საგანმანათლებლო აქტივობების ინტეგრირების პრაქტიკულ გზებზე, რაც გეოგრაფიას დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან ინსტრუმენტად გარდაქმნის.

საკვანძო სიტყვები: გეოგრაფია, კარტოგრაფია, GIS, მედიაწიგნიერება, ყალბი ამბები, კრიტიკული ანალიზი, დეზინფორმაცია.

შესავალი

მეცნიერებისა და ინფორმაციის ეპოქაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა ინფორმაციის სანდოობის შეფასებაა. ყალბი ამბები (fake news) ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოებისთვის.

ყალბი ამბები, რომელიც მიზანმიმართულად აყალბებს ან დამახინჯებულად წარმოსახავს რეალობას, აქტიურად მოქმედებს სოციალურ, პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ნარატივებზე. ყალბი ამბების გლობალური გავრცელება განსაკუთრებით სოციალური მედიის პლატფორმების მეშვეობით ხდება და ხშირად აყალბებს სივრცით რეალობასაც - კონკრეტული ლოკაციები, საზღვრები, მიგრაცია, კონფლიქტები, კლიმატის ცვლილება - ხშირად ყალბი ან მანიპულაციური ინფორმაციის სამიზნე ხდება.

ინფორმაციის ეპოქაში, როცა ახალი ამბები სწრაფად და ფართოდ ვრცელდება, დეზინფორმაცია სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის ძლიერ იარაღად იქცევა. ყალბი ამბების გამოვლენა რთულდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი თანდართულია ვიზუალური მასალით - მათ შორის რუკებით, გრაფიკებითა და სივრცითი მონაცემებით.

გეოგრაფია, როგორც სივრცითი მეცნიერება, არამხოლოდ ფიზიკური და საზოგადოებრივი გარემოს შესწავლას ემსახურება, არამედ ინფორმაციის სივრცით ინტერპრეტაციასაც. იგი გვეხმარება გავიაზროთ სად იწარმოება, როგორ ვრცელდება და ვისზე მოქმედებს დეზინფორმაცია. ამ კონტექსტში, დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიის, განსაკუთრებით კარტოგრაფიის და სივრცითი ანალიზის გამოყენებას მედიის კრიტიკული ანალიზისთვის და ყალბი ამბების იდენტიფიკაციისთვის. ასევე გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, როგორც ინფორმაციის ვიზუალიზაციისა და კრიტიკული დეკონსტრუქციის მეთოდი.

ამიტომ, გეოგრაფიას, განსაკუთრებული როლი ენიჭება იმაში, რომ ამხილოს ყალბი ინფორმაციის წყაროები და დაეხმაროს საზოგადოებას მედიაწიგნიერების ამაღლებაში.

ძირითადი ნაწილი**1. გეოგრაფია და ინფორმაციის სივრცითი მანიპულაცია;****1.1. რუკა როგორც იდეოლოგიური იარაღი**

გეოგრაფიული კვლევების საგანი არა მხოლოდ ბუნებრივი ან ჰუმანური ფენომენებია, არამედ ის, თუ როგორ აისახება მოვლენები სივრცეში. ინფორმაციის გეოგრაფიული განზომილება გვიჩვენებს, რომ ყალბი ამბები ხშირად ემყარება გარკვეული ტერიტორიების, საზღვრების ან გარემოებების მიზანმიმართულად დამახინჯებულ წარმოჩენას. კარტოგრაფია არ არის ნეიტრალური - ის ასახავს რუკის შემქმნელის არჩევანს, ღირებულებებსა და მიზნებს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დროს შემუშავებული

რუკები უარყოფდნენ მეზობელ ქვეყნების სუვერენიტეტს და ხშირად ამახინჯებდნენ საზღვრებს. თანამედროვე კონფლიქტურ რეგიონებში, რუკები ხშირად გამოირჩევიან პოლიტიკური ან ქსენოფობიური ტენდენციებით, რაც განაპირობებს საზოგადოების დეზორიენტაციას. მაგალითები:

პოლიტიკური კონფლიქტები – რუკებზე ხშირად შეცდომით ან მიზანმიმართულად შეცვლილია ტერიტორიული კუთვნილება (მაგ., ყირიმი, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი). 2014 წლის შემდეგ რუსული მედია რეგულარულად იყენებს რუკებს, სადაც ყირიმი მითითებულია როგორც რუსეთის ნაწილი, მაშინ როცა გაეროს მონაცემებში ის კვლავ უკრაინის ტერიტორიად რჩება.

გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხები – კლიმატის ცვლილების უარყოფა ხშირად ეფუძნება არასწორად შედგენილ გრაფიკებს ან რუკებს.

გეოგრაფიული ანალიზი ამით გთავაზობს სივრცით მტკიცებულებებს, რომელიც ეწინააღმდეგება დეზინფორმაციას.

1.2. მასშტაბის მანიპულაცია

კარტოგრაფიული პროექცია დედამიწის ან სხვა პლანეტების ზედაპირის სიბრტყეზე გამოსახვის მათემატიკური ხერხია. ყველა კარტოგრაფიულ პროექციას აქვს სხვადასხვა დამახინჯება სფეროიდული ზედაპირიდან სიბრტყეზე სხვადასხვა ხერხით გადასვლის გამო. მაგალითად, Mercator-ის პროექცია ახდენს ზომების დამახინჯებას და აფრიკის შემცირებას შედარებით ევროპასთან, რაც ისტორიულად კოლონიური ძალების ინტერესებს ემსახურებოდა. დღესაც ზოგიერთი მედია ამ პროექციას იყენებს არათანაბარი სივრცითი აღქმის გასამყარებლად.

2. GIS ტექნოლოგიები, როგორც მტკიცებულების ინსტრუმენტი

2.1. სივრცითი მონაცემების გადამოწმება

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS) გვაძლევს ძლიერ ინსტრუმენტებს ინფორმაციის სივრცითი დამოწმებისთვის. GIS-ის მეშვეობით შესაძლებელია: არსებული მონაცემების Overlay შედარება - მაგალითად, გარემოს დაბინძურების რეალური მონაცემების და მედიის მიერ გაშუქებული რუკების შედარება; დროში ცვლილებების ანალიზი - ყალბი ამბები ხშირად იფარება ძველი მონაცემებით ან დრამატულად გადაჭარბებული რუკებით; სამთავრობო ან საერთაშორისო წყაროების (World Bank, UN, NASA) გამოყენება დეზინფორმაციის გაშიფვრისთვის.

GIS ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელია როგორც კვლევით, ასევე საგანმანათლებლო კონტექსტში - გაძლიერებული მედიაწიგნიერების მიზნით. არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია სივრცითი მონაცემების დეზინფორმაციული გზავნილების გადამოწმება. მაგალითად, Google Earth-ისა და Sentinel-2 სატელიტური მონაცემების გამოყენებით აქტივისტებმა უარყვეს ტყის გაჩეხვის შესახებ გამოგონილი ინფორმაცია ბრაზილიაში. ასევე 2022 წელს გავრცელდა რუსულენოვანი მედიასაშუალების რუკა, სადაც თითქმის საქართველოს ტყის საფარი ბოლო წლებში გაიზარდა. GIS მონაცემების საფუძველზე (Copernicus, Sentinel-2) აღმოჩნდა, რომ ტყის საფარი პირიქით, შემცირდა. კლიმატის ცვლილების შესახებ მითების დასაწვრცელად ხშირად გამოიყენება NASA Earth Observatory რუკები. მაგალითად, როდესაც კონსპირაციული მედია ამტკიცებდა, რომ ყინულის საფარი ანტარქტიდაზე იზრდება, NASA-ს ვიზუალიზაციამ აჩვენა, რომ მატება მხოლოდ დროებითი ფენომენი იყო, გრძელვადიანი ტენდენცია კი შემცირებაზე მიუთითებდა.

2.2. დრო-სივრცობრივი ანალიზი

მეტად მნიშვნელოვანია დრო-სივრცობრივი ანალიზი. GIS ხელს უწყობს ქრონოლოგიური რუკების შედგენას, რაც ააშკარავებს, თუ როგორ იცვლება მოვლენა დროში. COVID-ის პანდემიის პერიოდში სოციალურ მედიაში ვირუსის გავრცელების არაზუსტი ან დრამატიზებული რუკები ვრცელდებოდა. მაგალითად, COVID-19-ის გავრცელების რუკები საშუალებას აძლევდა მკვლევრებს გაემიჯნათ რეალური გავრცელება და ჭორებზე დაფუძნებული ალარმიზმი. ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი რუკა იყენებდა მუქ წითელ ტონებს, რაც ქმნიდა პანიკის ეფექტს, მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევების რაოდენობა დაბალი იყო.

3. კრიტიკული კარტოგრაფია და მედიის ანალიზი

3.1. რუკების მრავალწახნაგოვანი წაკითხვა

მასწავლებლებსა და მოსწავლეებს/სტუდენტებს ხშირად არ აქვთ უნარი წაკითხონ რუკა როგორც ტექსტი. კრიტიკული კარტოგრაფია ასწავლის რუკის კრიტიკულ კითხვას: ვინ შექმნა, რისთვის, და ვის ინტერესებს ემსახურება იგი? მაგალითი: მიგრანტების ნაკადების ამსახველი რუკები ხშირად აჩვენებენ

ისრების სიჭარბეს და ზომას ისე, რომ ადამიანებში ემოციები აღძრან, მიუხედავად იმისა, რომ რეალური მაჩვენებლები დაბალია. ევროკავშირის მიგრანტთა რუკა, სადაც სუბიექტური მედია ისრების სისქეს ისე იყენებს, რომ თითქოს მიგრანტთა ნაკადები დასავლეთ ევროპაში „შესისხლხორცებულ ზვავად“ წარმოდგება, მაშინ როცა ევროკომისიის ოფიციალურ რუკაზე მოცემულია ობიექტური რაოდენობები. რუკებზე „მიგრანტთა ტალღების“ დრამატული ვიზუალიზაცია ქმნის შიშსა და ცრუ წარმოდგენებს.

3.2. ვიზუალური მეტაფორები

მეტი ანალიტიკური უნარის გარეშე, ვიზუალური კოდები შეიძლება დამაბნეველი იყოს. მაგალითად, ფერების არჩევანი (წითელი – საშიში, მწვანე – უსაფრთხო) გავლენას ახდენს ინტერპრეტაციაზე.

4. გეოგრაფიული განათლება და მედია წიგნიერება

4.1. საგანმანათლებლო ინტეგრაცია

განათლებაში გეოგრაფიის ინტეგრაცია კრიტიკული მედიაწიგნიერების გაძლიერებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გეოგრაფია ხელს უწყობს სივრცით და კრიტიკულ აზროვნებას. საგანმანათლებლო აქტივობები, როგორიცაა „მარტივი ამბის რუკაზე გადატანა“, ეხმარება მოსწავლეებს განასხვავონ ფაქტი და ინტერპრეტაცია, ხოლო აქტივობა "რუკის ავთენტურობის დეტექტივი" მოსწავლეებს აძლევს საშუალებას გაანალიზონ სხვადასხვა ინფორმაციულ რუკა, შეამოწმონ წყაროები და დაადგინონ მისი სანდოობა. მაგალითი: მასწავლებელმა მოამზადა დავალება, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს მოახდინეს სხვადასხვა მედიაში ერთი და იმავე მოვლენის განსხვავებული ვიზუალური წარმოდგენების შედარებითი ანალიზი.

4.2. გეოგრაფიული მედიაანალიზის მეთოდები და მედიის რუკების ანალიზის დავალებები

მოსწავლეები სწავლობენ როგორ გადაამოწმონ ინფორმაცია, გამოიყენონ ღია სივრცითი მონაცემები და თავად შექმნან რუკები, როგორც ანალიზის ინსტრუმენტი. მაგალითი: კრიტიკული კარტოგრაფია - რუკების შექმნის პროცესის ანალიზი (ვის მიერ, ვისთვის, რატომ?); კლიმატის ცვლილების ჭეშმარიტი მონაცემების შედარება კონსპირაციულ რუკებთან; წყაროს გეოგრაფიული იდენტიფიკაცია - საიდან მოდის ინფორმაცია? ლოკალიზაციის იდენტიფიკაცია და ექვმიტანილი წყაროების გამოვლენა.

UNESCO-ს მედიაწიგნიერების სტანდარტებით (2021), მსგავსი მიდგომები ხელს უწყობს არა მარტო ინფორმაციის შეფასებას, არამედ მისი შინაარსობრივი გაშიფვრასაც.

5. გეოგრაფია, როგორც დეზინფორმაციის წინააღმდეგობის კომპონენტი

გეოგრაფია აერთიანებს მონაცემზე დაფუძნებულ ანალიზს, ვიზუალურ აზროვნებას და კონტექსტუალურ კრიტიკას. თანამედროვე სამყაროში, სადაც რუკა შეიძლება იყოს არა მხოლოდ გეზის, არამედ იდეოლოგიის გამოხატულება, გეოგრაფიული სწავლება აუცილებელია როგორც დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის, ისე ინფორმაციის სიზუსტის დასაცავად.

მაგალითები: World Bank Data Mapper-ის გამოყენება პოლიტიკური მანიპულაციის საწინააღმდეგოდ. როდესაც პოლიტიკური სუბიექტი ამტკიცებდა, რომ სოფლებში წყალმომარაგება გაუმჯობესდა, GIS რუკამ, რომელიც რეალურ მონაცემებზე იყო დაფუძნებული, აჩვენა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე რაიონში კვლავ წყლის მწვავე დეფიციტი ფიქსირდებოდა.

დასკვნა

მულტიმედიურ ეპოქაში გეოგრაფია ახლებურად წარმოჩინდება, როგორც მედიის ანალიზის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ ყალბი ამბები მრავალფეროვან ფორმებში ვლინდება, გეოგრაფია გვთავაზობს ძლიერ ჩარჩოს მათ წინააღმდეგ ბრძოლისთვის - განსაკუთრებით მაშინ, როცა სივრცეში მცდარ წარმოდგენებს ვაწყდებით. გეოგრაფია, კარტოგრაფია და GIS ტექნოლოგიები ეხმარება საზოგადოებას გადაამოწმოს გავრცელებული ინფორმაცია, აღიაროს მანიპულაციური ვიზუალიზაციები და გაღრმავოს მედიაწიგნიერება.

გეოგრაფიული აზროვნება და მედიაწიგნიერება უნდა გადაიკვეთოს როგორც ფორმალურ განათლებაში, ასევე სამეცნიერო კვლევებში - ყალბი ამბების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან სტრატეგიაში. კარტოგრაფიის კრიტიკული გამოყენება, GIS ტექნოლოგიები და მედიაწიგნიერებაზე ორიენტირებული სწავლება ქმნის გეოგრაფიულ მედიაანალიზის ჩარჩოს, რომელიც ხელს უწყობს მავნე დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიულ მიდგომებს.

მომავალში, გეოგრაფიული განათლების როლი კიდევ უფრო გაიზრდება, როგორც დემოკრატიული, გამჭვირვალე და კრიტიკულზე დაფუძნებული საზოგადოებების საფუძველი.

ლიტერატურა

1. კომუნიკაციების კომისია, მედიაწიგნიერების გაკვეთილები, (2023 წ.)
2. Harley, J. B. (1989). Deconstructing the Map. *Cartographica*
3. Crampton, J. W., & Krygier, J. (2006). *An Introduction to Critical Cartography*. ACME.
4. Monmonier, M. (1996). *How to Lie with Maps*. University of Chicago Press.
5. Dodge, M., Kitchin, R., & Perkins, C. (2011). *The Map Reader*. Wiley-Blackwell.
6. Zook, M., & Graham, M. (2007). The Creative Reconstruction of the Internet: Google and the Privatization of Cyberspace and Digital Life. *GeoForum*.
7. MacEachren, A. M. (2004). *How Maps Work: Representation, Visualization, and Design*. Guilford Press.
8. Pickles, J. (2004). *A History of Spaces: Cartographic Reason, Mapping and the Geo-Coded World*. Routledge.
9. Walshe, N. (2020). Critical digital literacy and geography education: the potential of using fake news to develop critical thinking. *Geography*, 105(1), 21–29.
10. UNESCO (2021). *Media and Information Literacy Curriculum for Teachers*. Paris: UNESCO.
11. European Commission. (2018). *A multi-dimensional approach to disinformation: Report of the independent High-level Group on fake news and online disinformation*.
12. Georgian National Communications Commission (GNCC). (2023). *Media Literacy in Georgia: Challenges and Opportunities*.

Geography as a Tool for Media Analysis

Maia Bliadze

Abstract

In the modern information landscape, the spread of fake news poses a significant threat to democratic societies and global stability. Particular concern arises when disinformation relates to geographical features, borders, climate events, or migration patterns. This article explores the role of geography – particularly cartography and GIS technologies – in the critical analysis of media and the detection of false narratives. Through real-world examples, the paper examines how maps can be politically or emotionally manipulated, and how spatial thinking, supported by geographic education, can foster media literacy. The study highlights practical applications of critical cartography, spatial contrast analysis, and educational strategies that together position geography as an effective tool in combating disinformation.

Keywords: geography, cartography, GIS, media literacy, fake news, critical analysis, disinformation.